დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109232993**
თარიღი:**26/10/2023**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „RMG GOLD"-ს (ს/ნ 225359947) შორის 2017

წლის 16 ივნისს დადებული ,,არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის

ხელშეკრულება N2-ში" ცვლილებების შეტანაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" პუნქტის ,,დ.დ " ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 21 ოქტომბრის N№108. 108232946 ბრძანების გათვალისწინებით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „RMG GOLD" (ს/ნ 225359947) შორის 2017 წლის 16 ივნისს დადებულ ,,არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება N2-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 21 ოქტომბრის N№108. 108232946 ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108232946**

თარიღი:**21/10/2023**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „RMG GOLD"-ს (ს/ნ 225359947) შორის 2017 წლის 16 ივნისს დადებული ,,არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება N2-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" პუნქტის ,,დ.დ " ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, ასევე, შპს ,,RMG GOLD"-ის (ს.ნ 225359947) მიმიდნარე წლის 18 ოქტომბრის N75.683 წერილისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 28 ივნისის N004425823 დასკვნის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „RMG GOLD " (ს/ნ 225359947) შორის 2017 წლის 16 ივნისს დადებულ ,,არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება N2-ში" ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადება, ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს „RMG GOLD"-თან (ს/ნ 225359947) მოახდინოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმების გაფორმება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დმანისი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს თემური ზურაბიშვილს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შეთანხმება N1

2017 წლის 16 ივნისს გაფორმებულ N2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. დმანისი _____ წელი

ერთის მხრივ, შპს ,,RMG GOLD" (ს.ნ 225359947) (შემდგომში ,,მოიჯარე") წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ჯონდო შუბითიძის სახით და მეორეს მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით (შემდგომში ,,მესაკუთრე") დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის ___ _____ N_____ განკარგულებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ___ _____ N_____ ბრძანების შესაბამისად შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეთა შორის დადებული 2017 წლის 16 ივნისის N2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2.1 საიჯარო ქონებით სარგებლობისათვის მთლიანი საჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 15864 (თხუთმეტიათასრვაასსამოცდაოთხი) ლარს".

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2017 წლის 16 ივნისის N2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. ხელშეკრულების გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

,,მესაკუთრე"	,,მოიჯარე"
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი	შპს ,,RMG GOLD"-ის
	აღმასრულებელი დირექტორი
კობა მურადაშვილი	ჯონდო შუბითიძე

----------კობა მურადაშვილი ----------გიორგი სიხარულიძე